




გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Implemented by
giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH


ქვევრის თიხის შემადგენელი ელემენტები და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები

ქვევრის დამზადების პროცესი

	mean val.	standard deviation
	weight%	weight%
SiO2	67,09	0.2
Al2O3	15,92	0.2
Fe2O3	7,29	0.02
TiO2	0,81	0.02
CaO	1,90	0.02
MgO	2,06	0.02
K2O	2,53	0.02
Na2O	1,05	0.02
BaO	0,10	0.02
ZrO2	0,02	0.02
HfO2	<0.02	0.02
SrO	<0.02	0.02
ZnO	<0.02	0.02
MnO2	0,27	0.02
Cr2O3	0,03	0.02
V2O5	0,02	0.02
P2O5	0,15	0.02
LOI 1000 °C	0,71	0.02



Sample: 2019-08-18-10-00 - 10000 - 1000
 Name: 1.1
 Probe/Verfahren: sample 1.1, 20.00 min, 75.0°C
 Material: 75.0 g
 Label: KI - 3704 - LabV
 Atmosphere: 4000 Galen
 Operator: D. Maraschidze
 TempRef. Date: 7/20/2019, 7:00
 Druck: 26.2705, 20000097020.0°C
 Name: 1.1
 Methode/Messung: Schmelzwärmeanalyse/Probe + Kalibrator
 Produktionslabel: 30704-00
 Produktionsnummer: 0003
 Kalibrierdatei: 8100_9K_EAM-GTC-10015.rsp-rc
 Tabelle des Kalibriers: K1029.rst
 Metalle des Kalibriers: K1025
 Kern/Durchm.: 000000 µm



ქვევრის თიხის შემადგენელი
ელემენტები და ფიზიკურ-ქიმიური
მახასიათებლები

ქვევრის დამზადების პროცესი

2017

შემუშავებული და გამოცემული:

კერძო სექტორის განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით.

მეცნიერული კვლევები ჩატარდა:

მეისენის კერამიკის ინსტიტუტის მიერ
გერმანია, <http://www.keramikinstitut.com/en/>

ავტორები:

დოქტორი მარენ უებელი
დოქტორი იენს პეტცოლდი

რედაქტორები:

იაგო ბიტარიშვილი, ნინო მანველიძე, ეკატერინე ჯორბენაძე

გამომცემლობა:

„პეტიტი“

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) პასუხისმგებელი არ არის პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციასა და შეხედულებებზე. პუბლიკაციის თითოეული ნაწილი გამოხატავს ავტორების მოსაზრებებსა და დასკვნებს.

თბილისი, 2017

ISBN 978-9941-9513-1-2

წინასიტყვაობა

მეცნიერული კვლევები ჩატარდა და წინამდებარე პუბლიკაცია შემუშავდა სამხრეთ კავკასიაში კერძო სექტორის განვითარების რეგიონული პროგრამის მიერ, რომელსაც ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით.

წინამდებარე პუბლიკაცია საქართველოს ღვინის სექტორში პროგრამის მუშაობის შედეგია. პროექტი „საქართველოში კერძო სექტორის განვითარება ღვინის სექტორში“ ხელს უწყობს სისტემატური მრავალმხრივი მიდგომით ღვინის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს შემდეგი მიმართულებებით: (1) ჩარჩო პირობების გაუმჯობესება, (2) კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და (3) პროფესიული განათლება.

პროექტი მოიცავს შემდეგ აქტივობებს: 1. ვენახის ეროვნული კადასტრის სისტემის განვითარების ხელშეწყობა; 2. ქვევრის ღვინის კლასტერის დაარსება და განვითარება; 3. მევენახეობასა და მეღვინეობაში ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურების განვითარება; 4. ღვინის დუალური სასწავლო პროგრამის დანერგვა; 5. მდგრადობის ინიციატივები.

2014 წლის აპრილში გამართულ პირველ „ღვინის თანამშრომლობის ფორუმზე“ (დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის მონაწილეობით), ამ სექტორთან დაკავშირებულ სხვა თემებთან ერთად, ქვევრის ღვინის ღირებულებათა ჯაჭვიც იქნა განხილული. შედეგად მოხდა გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება და შესაბამისი წინადადებების შემუშავება; გამოვლინდა შემდეგი აქტივობების განხორციელების აუცილებლობა: (ა) თიხის სტრუქტურის მეცნიერული კვლევა და ქვევრის დამზადების პროცესის შესწავლა, (ბ) ქვევრის ღვინის წარმოების მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა, (გ) კერძო სექტორსა და საჯარო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება.

ქვევრის ღვინის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი და შემადგენელი ნაწილია თავად ქვევრი. ამ ტიპის ღვინის დამზადების

ფილოსოფია ეყრდნობა იმ მოცემულობას, რომლის მიხედვითაც, ქვევრში ღვინის დუღილისა და დაყენების დროს, ღვინოში მიმდინარეობს ქიმიური პროცესები, რომლებიც განაპირობებენ ქვევრის ღვინისთვის დამახასიათებელ გემოს, არომატსა და გარეგნობას.

ქვევრები სხვადასხვა საბადოდან მოპოვებული თიხისგან მზადდება, აქედან, ვარდისუბნის, ტყემლოვანას და საწაბლეს საბადოები ყველაზე მნიშვნელოვანია. 2016 წელს ამ საბადოებიდან თიხის 30 ნიმუში იქნა აღებული და მოხდა მათი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების შესწავლა, რათა დადგენილიყო, თუ რამდენად გამოსადევია ეს ნიმუშები ქვევრისა და ღვინის წარმოების პროცესში. ანალიზის დროს, თიხის შემადგენლობის და მისი კომპონენტების ღვინოში გადასვლის, თიხის გრანულაციის, თერმული ქცევის და მინერალოგიური შემადგენლობის, ასევე, გამომწვარი თიხის სიმკვრივისა და მის მიერ წყლის შთანთქმის შესწავლა განხორციელდა.

გარდა თიხის ნიმუშებისა, განხორციელდა თიხიდან დამზადებული გამომწვარი და გამოუწვავი ქვევრის ნატეხების ქიმიურ-ფიზიკური ანალიზი, რათა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: (1) არის თუ არა ქვევრების საწარმოებლად გამოყენებული თიხა ღვინის დასამზადებლად უსაფრთხო და შეესაბამება თუ არა სურსათის უვნებლობის ევროპულ სტანდარტებს; (2) შეესაბამება თუ არა ქვევრების წარმოების მეთოდი ფერმენტაციისა და ღვინის წარმოების პროცესს ტექნიკურ-ფიზიკური თვალსაზრისით (სიმკვრივე, შოკებისადმი გამძლეობა, გაწმენდის შესაძლებლობა და ა.შ.); (3) რა გზები არსებობს ქვევრის წარმოების გასაუმჯობესებლად, ქვევრის ღვინის იდენტურობის შენარჩუნების გათვალისწინებით.

კვლევებზე დაყრდნობით მომზადდა ანგარიში, რომელიც გადაიმუშავდა 2016 წლის ივლისში, კერამიკის ინსტიტუტის წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტის შემდეგ. ვიზიტის დროს შედეგების განხილვა გაიმართა მექვევრეებთან, დარგის სპეციალისტებთან, მელვინეებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Implemented by

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

DasKeramikinstitut

„კერამიკის ინსტიტუტს“ სურს, გამოხატოს განსაკუთრებული პატივისცემა ქვევრის მწარმოებლებისადმი, რომლებიც ქვევრებს ტრადიციულად ხელით აკეთებენ. ამგვარი ჭურჭლის დამზადება ძალიან რთულია, განსაკუთრებით მათი სიდიდის გამო და იმ ნედლეულის (თიხის) მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელიც საქართველოში მოიპოვება. ეს არის ძალიან მძიმე და, შეიძლება ითქვას, უნიკალური შრომა!

დღეისათვის აუცილებელია, რომ, ერთი მხრივ, შენარჩუნდეს ქვევრების წარმოების ტრადიცია და ცოდნა, რომელიც ძალიან დიდი ხნის გამოცდილებას ეფუძნება და მეორე მხრივ, გათვალისწინებული იქნას კერამიკის წარმოების თანამედროვე მიღწევები და ტექნოლოგიები.

წინამდებარე ანგარიშში მოცემული შენიშვნები და რეკომენდაციები ნაწილობრივ შედეგს წარმოადგენდეს. ჩვენი, კერამიკის ინსტიტუტის წარმომადგენელთა მოსაზრებით, აუცილებელია ტესტებისა და ანალიზების კვლავ ჩატარება ქვევრების წარმოების ოპტიმიზაციის მისაღწევად. ეს ოპტიმიზაცია ეხება როგორც ცალკეული ნედლეულის მომზადება-ჰომოგენიზირებას, ასევე ხელსაყრელი ნარევების დამზადებას ორი ან მეტი ნედლეულის კომპონენტისაგან.

კერამიკის ინსტიტუტის წარმომადგენლები მადლობას ვუხდით პროექტის ინიციატორებს განხორციელებულ სამუშაოებში მონაწილეობის შესაძლებლობისათვის.

კერამიკის ინსტიტუტი



ღვინის ეროვნული სააგენტო

საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყო და ამ ტრადიციას დღემდე ინარჩუნებენ. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია.

ქვევრი ღვინის დასაყენებელი და შესანახი უნიკალური თიხის ჭურჭელია. საქართველოში აღმოჩენილი ქვევრის ტიპის უძველესი ჭურჭელი განეკუთვნება ძვ. წ. VI-V ათასწლეულებს. დღეს არსებული ქართული ქვევრის ფორმები და ტევადობა სხვადასხვაგვარია და ქვევრის საწარმოებლად გამოყენებული თიხა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოიპოვება.

ამ ეტაპზე არსებობს გარკვეული ინფორმაცია საქართველოში არსებული თიხების შესახებ, თუმცა, მწირია მეცნიერული კვლევები ქვევრის დასამზადებლად გამოყენებული თიხების შესწავლის, ასევე ქვევრის წარმოების პროცესის აღწერისა და გაუმჯობესების მიმართულებით. შესაბამისად, GIZ-ის კერძო სექტორის განვითარების პროგრამის მიერ მხარდაჭერილი და მეისენის კერამიკის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევები მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს. წინამდებარე პუბლიკაცია მეცნიერულ დასკვნებზე დაყრდნობით წარმოგვიდგენს საქართველოს სამ რეგიონში მოპოვებული თიხის ძირითად მახასიათებლებს, ასევე საინტერესო ინფორმაციას იძლევა ქვევრების გამოწვის პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით.

ჩვენ მიველსამებით GIZ-ის სამხრეთ კავკასიაში კერძო სექტორის განვითარების პროგრამის მუშაობას ღვინის სექტორში და იმედი გვაქვს მეცნიერული კვლევები და პრაქტიკული რეკომენდაციები დაეხმარებათ ქვევრის მწარმოებლებს სათანადოდ გამოიყენონ ეს ინფორმაცია.

ღვინის ეროვნული სააგენტო

შინაარსი

შესავალი	8
1. გამოყენებული ანალიზები და გაზომვის მეთოდები	10
2. მონაცემების განხილვა	15
2.1. ვარდისუბანი	15
2.2. ტყემლოვანა	23
2.3. საწაბლე	31
3. დასკვნები და რეკომენდაციები	39
3.1. ვარდისუბანი	40
3.2. ტყემლოვანა	41
3.3. საწაბლე	42
4. პრაქტიკული რეკომენდაციები ქვევრის დასამზადებლად	44
5. დანართები	47
დანართების სია	47
ვარდისუბანი	50
ტყემლოვანა	66
საწაბლე	82

შესავალი

გამომწვარი თიხისგან ქვევრის შექმნა არის ქვევრის ღვინის წარმოების მთავარი ელემენტი და მისი იდენტობის ნაწილი.

საქართველოში ქვევრის საწარმოებლად საჭირო ნედლეულს 3 მოზრდილი და ორი მომცრო საბადოდან მოიპოვებენ. ქვევრის ფორმირება თიხის ჭურჭლის მწარმოებლების მიერ ხდება და გამომწვის პროცესი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მიხედვით მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ საბადოების მიხედვით ბუნებრივად განსხვავდება თიხის ქიმიური და ფიზიკური თვისებები, რაც ერთ საბადოშიც კი შესაძლოა ცვალებადი იყოს. ამიტომ, საჭიროა თიხის შედგენილობისა და თვისებების სისტემატურად დადგენა. ამ გზით შესაძლებელი უნდა გახდეს ქვევრის კერამიკული თვისებებისა და წარმოების პროცესის აღწერა და ასევე, ქვევრის სასურველი თვისებების მიზნობრივად შექმნა.

წინამდებარე პუბლიკაციით გადაიდგა პირველი ნაბიჯი თიხის იმ სამი ძირითადი საბადოს თვისებების გამოსაკვლევად, რომლებიც წარმოებული ქვევრების რაოდენობის მიხედვით, დასახელდა როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი.

თითოეული საბადოდან აღებული იქნა თიხის 10 ნიმუში:

- N - I, 1 ... 10: სოფ. ვარდისუბანი, თელავი, საქართველო
- N - II, 1 ...10: სოფ. ტყემლოვანა, ჭიათურა, საქართველო
- N - III, 1 ...10: სოფ. საწაბლე, ზესტაფონი, საქართველო.

ანალიზი რამდენიმე ეტაპად (მოდული) წარიმართა. პირველ მოდულში თიხის ყველა ნიმუშს ჩაუტარდა ანალიზი ქიმიური შემადგენლობის განსასაზღვრავად და მათში ზომების მიხედვით ნაწილაკების გადანაწილების (ანუ გრანულომეტრული განაწილების) დასადგენად. მოცემული ორი ანალიზის მონაცემების ცოდნა გვიქმნის პირველად წარმოდგენას კერამიკული თვისებების თვალსაზრისით აქამდე უცნობი საბადოებიდან მიღებული თიხის ნედლეულის შესახებ.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, დასაშვები გახდა, რომ თითოეული საბადოდან აღებული 10 ნიმუშიდან შეერჩიათ მხოლოდ 3, რომლებზეც ჩატარდებოდა შემდგომი კვლევები.

ყოველი მომდევნო ანალიზისა და ტესტისთვის, თითოეული საბადოდან შეირჩა Al_2O_3 -ის უმცირესი, საშუალო და უმაღლესი შედგენილობის მქონე ნიმუშები, რომლებიც შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც „3 ცალკეული ნიმუში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა გვევარაუდა, რომ ამ „3 ცალკეული ნიმუშის“ შედეგები უტყუარ წარმოდგენას ქმნიდა მთელი საბადოს კერამიკული პარამეტრების შესახებ. რატომ მოვიქცით ასე? Al_2O_3 თიხის მინერალების მთავრი ოქსიდია და შესაბამისად, თიხის მინერალების რაოდენობა ნედლ თიხაში შეიძლება დადგინდეს Al_2O_3 -ის შემადგენლობის მიხედვით.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს თიხის ნედლეული განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება, კერძოდ სამიდან ორ საბადოში, Al_2O_3 -ის დიდი რაოდენობა მინდვრის შპატის ნაერთის სახით არის წარმოდგენილი.

ჩატარებული ყველა ანალიზისა და ტესტის შედეგად, თითოეული საბადოსთვის იქმნება მახასიათებლები, როგორც ნედლი თიხის პარამეტრების, ასევე მათი კერამიკულ-ტექნოლოგიური გადამუშავების თვისებების მიხედვით.

შემდეგ მოდულში გამოკვლევულ იქნა 3 ნედლი თიხის ნიმუში და 3 გამომწვარი ნატეხი (ქვევრების ნაწილები), რომლებიც ორინალის სახით, ქართველმა მეწარმეებმა მოგვაწოდეს.

გამოუწვავი თიხის ნიმუშებით დამზადდა სხვადასხვა ფორმის საცდელი სხეულები როგორც ხელით (თაბაშირის ფორმებში), ასევე ექსტრუდირებით (ვაკუუმ პრესის). აღნიშნული მეთოდით მოხდა იმ ფაქტის დემონსტრირება, თუ რა გავლენა აქვს ფორმის მიცემის გამოყენებულ ხერხს მიღებული საცდელი სხეულების თვისებებზე.

მოწოდებული ქვევრის ნატეხებში განისაზღვრა წყლის შთანთქმა, რითაც დადგინდა თიხის თითოეული საბადოს ქვევრების სიმკვრივის აქტუალური სტატუსი.

1. გამოყენებული ანალიზები და გაზომვის მეთოდები

მინერალოგიური და ქიმიური შედგენილობის დადგენა

- შერჩეული 3 ცალკეული ნიმუშის მინერალოგია;
- კრისტალიზებული ფაზების გაზომვა რენტგენის დიფრაქციის საშუალებით (XRD);
- 3 ცალკეული პრეპარატის მომზადება ყველა იმ მყარი კომპონენტის დასადგენად, როგორცაა კვარცი, მინდვრის შპატები (და ა.შ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს კერამიკულ პროცესებს), ასევე აფუებადი და არააფუებადი თიხოვანი მინერალები და შესაძლო არსებული რკინის ნაერთები;
- თითოეული საბადოს ათივე ცალკეული ნიმუშის ქიმიური ანალიზი;
- ელემენტების ფთორი ... ურანი გაზომვა რენტგენული ფლუორესცენციის ანალიზის (XRF) მეთოდით;
- გამღვავალი პრეპარატების (1170°C) გაზომვა და შემდგომი გადაანგარიშება შესაბამის ოქსიდებში;
- მაღალ ტემპერატურაზე აქროლადი ელემენტების ფთორის, ქლორის და გოგირდისთვის, გამომშრალი აბების გაზომვა;
- 1000°C-ზე მოკალვისას მიღებული დანაკარგების (LOI) დადგენა (თერმული დამუშავების წინ და შემდეგ მასათა სხვაობა);
- სამი საბადოს ათივე ცალკეულ ნიმუშში ნახშირბადის შემცველობის განსაზღვრა;
- ორგანული, არაორგანული და საერთო ნახშირბადის განსაზღვრა ნახშირბადის ანალიზატორის გამოყენებით.

ნიმუშების მომზადება მინერალოგიური და ქიმიური ანალიზისთვის

- მოწოდებული (თითოეული თიხის ნიმუში 4-5 კგ.) 3 x10 ნიმუშის გაშრობა 40°C-ზე, 72 საათის განმავლობაში, ჰაერის ცირკულაციის საშრობში;
- მსხვილად დანაწევრება დასაქუცმაცებელ აპარატში, 4 მმ-იანი ინტერვალით;

- წინასწარ დანაწევრებული 30 ნიმუშის კომოგენიზირება;
- მოწყობილობის გამნაწილებელი ისე უნდა დარეგულირდეს, რომ მიიღებოდეს დაახლოებით 50 გრ ნიმუში.

რატომ ჩატარდა ამ პარამეტრების ანალიზები?

ქვევრის (და ზოგადად ნებისმიერი თიხის ნედლი მასალის) ყველა თვისება უპირველეს ყოვლისა გამომდინარეობს გამოყენებული თიხის მინერალოგიური და ქიმიური შემადგენლობიდან.

ამასთან, მყარი ნივთიერებების კომპონენტებში და პლასტიკურ კომპონენტებშიც (თიხოვან მინერალებში) არსებული ცალკეული მინერალოგიური ფაზა, კერამიკულ სხეულში განაპირობებს ერთ განსაზღვრულ ფუნქციას – როგორც ფორმის მიცემის, ასევე გამოწვის დროს.

ამ ცოდნით იქმნება პირველადი წარმოდგენა თიხების გადამუშავების შესახებ, განსაკუთრებით მათ პლასტიკურობასა და იმ ტემპერატურასთან მიმართებაში, რომელზეც შესაძლებელია განსაზღვრული შეცხობის ხარისხის მიღწევა (თუ რომელ ტემპერატურაზეა პროდუქტი სასურველი სიმკვრივით გამომწვარი).

რაც შეეხება ქიმიურ ანალიზებს, უპირველეს ყოვლისა განიხილება პირველი 8 ოქსიდი (იხილე ქიმიური ანალიზების ცხრილები) და წვით გამოწვეული დანაკარგი.

კერამიკულ შემადგენლობაში, თითოეულ ამ ოქსიდს ერთი ან რამდენიმე ფუნქცია გააჩნია, როგორც ფორმირების უნარის მხრივ, ასევე გამოწვისას.

რაც უფრო მაღალია თიხის ნიმუშებს შორის განსხვავება ქიმიურ ანალიზებში, მით უფრო დიდია განსხვავება ტექნოლოგიურ ქცევასა და საბოლოო პროდუქტის ხარისხში.

ძალიან მნიშვნელოვანია თიხის ნედლ მასალაში გოგირდის, ქლორისა და ფთორის შემადგენლობის ცოდნა.

გოგირდის შემცველობა წყალში ხსნადი მარილების შესაძლო არსებობაზე მიუთითებს.

თუ ნედლეული მასალა ქლორს შეიცავს, მაშინ ის გამოწვისას გამოთავისუფლდება და უჟანგავი ფოლადისთვის ძალიან აგრესიულ გაზს წარმოადგენს.

ფთორის არსებობა, გარემოს დაბინძურების გამო, არასასურველი.

ამის გამო, ქიმიური ანალიზების ჩატარების დროს, აღნიშნული სამი პარამეტრის მუდმივი შემოწმება, გერმანიაში ტექნოლოგიის სტანდარტს წარმოადგენს.

მესამე ასპექტი ნაწარმის გამოწვასთან მიმართებაში არის ნედლ მასალაში ნახშირბადის ანალიზი.

ორგანული ნახშირბადი განაპირობებს ეგრეთ წოდებულ „შავ გულებს“ გამომწვარ ნატეხებში. „შავ გულებს“ შეუძლია უარყოფითი გავლენის მოხდენა როგორც გამომწვარი ნამტვრევების სიმტკიცეზე, ასევე სავარაუდოდ, გამოწვის შედეგად მიღებულ ფერზე.

არაორგანული ნახშირბადი მიუთითებს კარბონატული ნაერთების არსებობაზე, რომლებიც გამოწვის პროცესში იშლება, ამით კი ამცირებს სიმკვრივეს და იწვევს სიმტკიცის დაქვეითებას. აღნიშნულს განსაკუთრებით მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქვევრის გამოსაწვავად შერჩეული ტემპერატურა საჭიროზე ბევრად მცირეა.

მეოთხე ასპექტი წყალში ხსნადი მარილების არსებობაა. წყალში ხსნადი მარილების შემცველობა ნიმუშების დისტილირებულ წყალში (24 სთ) დამუშავებისა და შემდეგ ელუატის გაფილტვრით დადგინდა. ამასთანავე გაირეცხა ყველა წყალში ხსნადი მარილი და ელუატი გაიზომა ICP-ით (Inductively Coupled Plasma, ინდუქციურად ბმული პლაზმური მეთოდით).

ანალიზის შედეგად დგინდება, არის თუ არა მოსალოდნელი, რომ წლების შემდეგ ქვევრიდან წყალში ხსნადი მარილები გამოვლდეს.

გრანულომეტრიული გადანაწილების დადგენა

- სამივე საბადოს ათივე ცალკეულ ნიმუშში გრანულომეტრიული გადანაწილების დადგენა;
- გრანულომეტრიული გადანაწილება დადგენა ორ საფეხურად;
- ნაწილაკებს ზომით $>63 \mu\text{m}$ (მიკრომეტრი) განსაზღვრავდნენ ხელით სველი ფილტრაციის საშუალებით, 5 სხვადასხვა ზომის ცხაურის გამოყენებით;
- თითოეულ ცხაურაზე არსებული ნარჩენები იქნა გაშრობილი და აწონილი (იხილე ცხრილები);
- გაზომვები ნაწილაკებისთვის $<63 \mu\text{m}$ ჩატარდა SediGraph [comp. Micromeritics, USA]-ის საშუალებით, $0,5\mu\text{m}$ -მდე, მცირე ბიჯებით;
- ყველა მონაცემი – შედეგები როგორც სველი ფილტრაციიდან, ასევე SediGraph-ით გაზომვიდან, თითოეული საბადოსათვის წარმოდგენილია ცალკე ცხრილში.

რა მტკიცებულებები გამოვლინდა ამ გაზომვით?

გრანულომეტრიული გადანაწილების დადგენა მეორე საბაზისო ანალიზი თიხის ნედლეულის დასახასიათებლად მათი გადამუშავების შესაძლებლობის კუთხით.

თიხის ნაწილაკები ძალიან წვრილია ($<10\mu\text{m}$). მისგან განსხვავებით, მყარი ნივთიერებების კომპონენტების გრანულომეტრიული შემადგენლობა ბევრად უფრო მეტია.

რადგანაც თიხის ნედლეული მასალის პლასტიკურობას მხოლოდ თიხის ნაწილაკები განაპირობებს, შესაბამისად მათი წილი, თიხის ნედლეული მასალის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს. ამგვარად, ნედლეული მასალის გრანულომეტრიული გადანაწილების მონაცემები უჩვენებს ნედლეული მასალიდან დიდი ქვევრის წარმოების პოტენციალს.

თერმული ქცევის განსაზღვრა დილატომეტრის საშუალებით (დეფორმირების დიაგრამები)

- თითოეული საბადოს 3 ცალკეული ნიმუშის გაზომვა;
- საცდელი სხეულების ფორმირება და დამუშავება/დახვეწა $25\times 5\times 5\text{ mm}^3$;
- გამოშრობის (110°C) შემდეგ გაზომვის ჩატარება დილატომეტრით;
- შედეგში მოცემულია დილატომეტრიული დეფორმირების დიაგრამები, როგორც ტემპერატურის ფუნქცია.

თიხის ნედლეულის მინერალის სხვადასხვა ფაზა, რასაც გრანულების გარკვეული ზომები განაპირობებენ, გამოწვისას გარკვეულ გაფართოებასა და მოცულობის ცვლილებას იწვევს. მოცულობის ცვალებადობის (შეკუმშვა-გაფართოება) და შედეგად დეფორმირების გამოთვლა შეუძლებელია და ამიტომ ის უნდა გაიზომოს. ამისათვის შეიძლება დიდი ნიმუშების დამზადება და გაზომვა, ან შედარებით მცირე დანახარჯითა და ბევრად უფრო მეტის მთქმელი მონაცემით, დილატომეტრიული გაზომვის ჩატარება.

დილატომეტრის საშუალებით გაფართოებისა/დეფორმირებისა და მოცულობის ცვალებადობის გაზომვები ნიმუშის გამოწვის ყველა სტადიისათვის ძალიან კარგ მონაცემებს იძლევა. ვხედავთ, რომელ ტემპერატურამდე ხდება ნიმუშის დეფორმირება და რამდენად ძლიერია ის. დილატომეტრის მრუდზე ჩანს, რომელი ტემპერატურიდან იწყება შეცხობა, რამდენად ძლიერად მიმ-

დინარეობს და შეიძლება იმის შეფასება, რომელ ტემპერატურაზეა ნიმუში საკმარის დონეზე გამოძწვარი.

გამოწვის შედეგად მიღებული ნიმუშის სიმკვრივესა და გამომწვარი საგნის სიმტკიცეს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის საფუძველზე (რაც უფრო მაღალ ტემპერატურაზეა გამოძწვარი, მით უფრო მკვრივია და მით უფრო მაღალია სიმტკიცე), შესაძლებელია დილატომეტრული გაზომვებით თითოეული თიხის საბადოსა და თითოეული ცალკეული ნიმუშისათვის საჭირო ტემპერატურის დადგენა, მინიმუმ რომელზეც უნდა წარიმართოს გამოწვა.

წყლის შთანთქმის დადგენა

- თითოეული საბადოდან 3 ცალკეული ნიმუშის გაზომვა;
- ნიმუშების გაკეთება თაბაშირის ფორმაში მოთავსებით, შესაბამისად, ვაკუუმში პულტრუაზის მეშვეობით;
- გამოშრობა (ჰაერის ცირკულაციით საშრობი) და გამოწვა ელექტროღუმელში 1000°C-ზე;
- წყლის შთანთქმის განსაზღვრა დუღილის მეთოდის საშუალებით (2 სთ. დუღილი, 4 სთ გაცივება ოთახში);
- წლის შთანთქმის გამოთვლა დუღილის წინ და შემდეგ, აწონვის გზით.

რა შედეგებს იძლევა ეს გაზომვა?

ქვევრის, როგორც გამოძწვარი თიხის, მიერ წყლის შთანთქმის უნარი, უჩვენებს თიხის ჭურჭლის ფაქტიურ სიმკვრივეს.

რაც უფრო მცირეა წყლის შთანთქმის მაჩვენებელი, მით უფრო მკვრივია გამოძწვარი ნიმუში. ხოლო, რაც უფრო მკვრივია გამომწვარი ნატეხი (ქვევრი), მით უფრო მაღალია მისი სიმტკიცე.

წყლის შთანთქმის რაოდენობის გამოანგარიშება ვერ ხერხდება და შესაბამისი გაზომვის გზით უნდა დადგინდეს.

2. მონაცემების განხილვა

2.1. ვარდისუბანი

მინერალოგიური ანალიზები [ცხრილები 1a, 1b, 1c]

ვარდისუბანი არის საბადო, რომელიც ე. წ. მყარი ნივთიერებების, როგორცაა კვარცი და მინდვრის შპატი, შედარებით მაღალ შემცველობით ხასიათდება. ამ არაპლასტიკური კომპონენტების კონცენტრაცია 46%-დან 50%-მდე მერყეობს. მინდვრის შპატების მხრივ ანალიზი ჩაუტარდა მინდვრის შპატის სხვადასხვა ტიპის ნარევს, რომელებშიც კალიუმის მინდვრის შპატის წილი დომინირებს.

თიხის მინერალების შემცველობა 45%-დან 49%-მდე მერყეობს, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კერამიკულ ნარევიში მხოლოდ 2- და 3-შრიანი თიხის მინერალები განაპირობებს პლასტიკურობას. თიხის მინერალების ამ ორი ტიპისათვის მხოლოდ, დაახლოებით 32-34%-ს ჩაუტარდა ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ძირითადად 3-შრიანი თიხის მინერალები იქნა მოპოვებული (აფუებადი და არააფუებადი) და მხოლოდ 5% კაოლინიტი (2-შრიანი თიხის მინერალი).

ხელით ფორმირებისათვის განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭება 3-შრიან თიხის მინერალებს (8-9%), ისინი ყველა სახის თიხის მინერალიდან ყველაზე მაღალ პლასტიკურობას ავლენს.

ამის საპირისპიროდ, 4-შრიანი თიხის მინერალების კერამიკულ-ტექნოლოგიური მდგომარეობა მყარი ნივთიერების მსგავსზე უფრო მაღალი საფეხურისას უნდა მიეკუთვნოს. 4-შრიანი თიხის მინერალები თითქმის არავითარ როლს არ ასრულებს კერამიკული მასის პლასტიკურობაში. ვარდისუბნის საბადოში მათი წილი 13%-14 %-ს მორისაა.

საბადოს ნიმუშებში დამატებით 2...3% მინერალი ავგიტი აღმოჩნდა. საქმე ეხება მყარ ნივთიერებას, რომელიც ხელს არ უწყობს პლასტიკურობას. ავგიტის დნობის წერტილი არსებითად მისი მოპოვების ადგილის ქიმიურ შემადგენლობაზე დამოკიდებული. გამდნარი ავგიტის შედეგი შავი შუშაა.

ვარდისუბნის საბადოს მინარელოგიური ანალიზების შედეგად სხვა მინერალები არ აღმოჩენილა იმ რაოდენობით, რომელებიც გამომწვარი ქვევრის თვისებებზე უარყოფითად იმოქმედებდნენ.

საბადოს ნედლეული მასალის გარდა ანალიზი ჩაუტარდა ქვევრის ნატეხებს გამოუწვავ და გამოძვარ მდგომარებაში (ვარდისუბნის ორიგინალი პროდუქტი), (იხ. ცხრილები 1d, 1e).

ამ საბადოს გამოუწვავი ნატეხის მინერალოგიური ანალიზი ძირითადად მისი ცალკეული ნიმუშის მინერალოგიას შეესაბამება. ამის შედარება შეიძლება ნიმუშ N I/ 2-თან.

აღნიშნული საბადოს ქვევრის გამოძვარი ნატეხი უჩვენებს მინერალოგიას 42% მყარი ნივთიერების წილი (9% მინდვრის შპატები/ 35% კვარცი).

თიხის კომპონენტების ყველა კრისტალური წილი გამოწვისას ცვლილებას განიცდის და წარმოიშვება ამორფული ფაზა. ამიტომ ამ წილებისთვის შეუძლებელია მინერალოგიური ანალიზი, რომელიც კრისტალის მესერზე ლაზერის გამოსხივების დიფრაქციას ეფუძნება. ამორფული ფაზის ეს წილი ანალიზების ოქმში ამიტომ → ნაშთით აღინიშნება, აქ → 46%.

ქიმიური ანალიზები ძირითადად მინერალოგიური ანალიზების მონაცემებს ასახავს [ცხრილი 2].

ვარდისუბნის საბადოში ადგილი აქვს 8 ყველაზე ხშირი ოქსიდის საშუალო დონის ცვალებადობას (იხილეთ ცხრილი → $\text{SiO}_2 \dots \text{Na}_2\text{O}$).

თვალშისაცემია 10 ცალკეულ ნიმუშს შორის დიდი განსხვავება SiO_2 -ის შემადგენლობის თვალსაზრისით (განსხვავება 2,8%-მდე!).

ასევე ძალიან მაღალია განსხვავებები ტუტე და ტუტემიწა ნაერთების შემცველობებს შორის. ტუტე და ტუტემიწათა ოქსიდები მინდვრის შპატებისა და თიხის მინერალების შემადგენელი ნაწილია. ამასთან, დიდი განსხვავებებითაა ნაჩვენები როგორც მინდვრის შპატის, ასევე თიხის მინერალების შემცველობის მერყობის მაღალი დიაპაზონი.

ცალკეულ ნიმუშში ქიმიურად დადგენილი Al_2O_3 -ის საერთო რაოდენობა არ წარმოადგენს არსებული თიხის მინერალების რაოდენობის მასშტაბს ამ საბადოსათვის, რადგანაც Al_2O_3 -ის მოზრდილი წილი არაპლასტიკურ მინდვრის შპატებთანაა მიერთებული.

ვარდისუბნის საბადოს შემთხვევაში ყველა სხვა ოქსიდი, რომელთა არსებობა ქიმიური ანალიზით დადასტურდა, კერამიკულ თვისებებთან მიმართებაში დაქვემდებარებულ როლს თამაშობს.

გამომშრალ პრეპარატებში ქიმიური ანალიზებით დადგინდა ფთორის, ქლორისა და გოგირდის არსებობა.

სამივე პარამეტრი მცირე რაოდენობით აღმოჩნდა, ამგვარად, ეს შემცველობა პროდუქციისთვის ან გარემოსთვის უარყოფით გავლენას არ წარმოადგენს [ცხრილი 3].

ნახშირბადის გაზომვები: ვარდისუბნის ამ საბადოს ნიმუშებისათვის ორგანული ნახშირბადის შემცველობა მაღალია და ამ 10 ცალკეული ნიმუშისათვის ძალიან განსხვავებული [ცხრილი 4]. ორგანული ნახშირბადის ძალიან მაღალი შემცველობის გამო, 250-დან 600 °C-მდე არეში საჭიროა ტემპერატურის ძალიან ნელი მატება, რათა მთელი ორგანიკა ნელა და სრულად გამოიწვას.

გარდა ამისა, ცალკეული ნიმუშის შემთხვევაში I/1...I/3 არაორგანული ნახშირბადის ანალიზიც ჩატარდა. ვინაიდან ამ ნაერთების შემცველობა ძალიან მცირეა, მათმა დაშლამ (700...900°C) გამოძვარ საბოლოო პროდუქტზე შესაძლოა მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას იქონიოს.

ვარდისუბნის საბადოს შეფასებისათვის ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საქმე ეხება შედარებით არაჰომოგენურ საბადოს. ეს ნიშნავს, რომ ყველა პარამეტრი როგორც წარმოების პროცესში, ასევე გამოწვის პროცესში საბადოდან ნედლეულის ამოღების პოზიციიდან პოზიციამდე შედარებით ძლიერ მერყეობას ექვემდებარება.

ვარდისუბნის საბადოს გამოუწვავი და გამოძვარი ნატეხის ქიმიური ანალიზები ძირითადად იმ მონაცემებს შეესატყვისება, რომლებიც უკვე 10 ცალკეული ნიმუშის შემთხვევაში დადგინდა [ცხრილები 2d, 2e].

გამოწვის შედეგად კერამიკული ნატეხის ქიმიური შემადგენლობა არ იცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ წესით უკვე გამოძვარი ნიმუშის გახურებით გამოწვეული დანაკარგი ნული უნდა იყოს, ვინაიდან თავდაპირველი გამოწვის შედეგად მთელი წყალი გამოიდევნებოდა და ასევე საერთო ორგანიკაც ბოლომდე გამოიწვებოდა,

მაგრამ როგორც ანალიზების მონაცემები უჩვენებს, გამოძვარ ნატეხებში კიდევ დადგინდა გახურებით გამოწვეული მცირე დანაკარგი. ნაპოვნი იქნა ორგანიკის ნარჩენები. ეს ნიშნავს, რომ ვარდისუბნის ნამტვრევის გამოწვა სრულყოფილად არ ჩატარებულა.

საბოლოო კერამიკული პროდუქტის ხარისხისთვის მაღალი ინტერესის საგანს წარმოადგენს საბადოს თიხებში ყველანაირი მარილის შემცველობის შესახებ ინფორმაცია [ცხრილი 5].

ამის დასადგენად ჩატარდა ყველა იმ პარამეტრის სკრინინგი, რომელიც შესაძლოა სხვადასხვა სახის დეფექტის გამოვლენის მიზეზი იყოს ქვევრის წარმოებისას და გამოწვისას (როგორიცაა

მაგ. გამოკრისტალება, სხვადასხვა სახის გამონადენი და სხვა).

ანალიზის ჩასატარებლად ისევ ვარდისუბნის საბადოს 3 ცალკეული ნიმუში იყო გამოყენებული.

შედეგად, დასკვნის სახით შეიძლება, ითქვას, რომ ვარდისუბნის საბადოსათვის არ აღმოჩენილა „საშიში“ არაორგანული ნაერთები.

თიხის კერამიკული ნედლეულის მინერალოგიულ და ქიმიურ შემადგენლობასთან ძალიან მჭიდრო კავშირშია მათი გრანულომეტრული განაწილება.

თიხის ნაწილაკები ძალიან პატარაა (მაქს.10 მკმ და კიდევ უფრო წვრილი). მათთან შედარებით ბევრად მსხვილია მყარი ნაერთები. მყარი ნაერთების უმეტესობა დაახლოებით > 20 მკმ-ია.

ამით გრანულომეტრული განაწილების გაზომვის შედეგი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას იძლევა საბადოს თიხის გადამუშავების, დამზადების, ფორმირების, შრობის პროცესის სენსიბილურობის, გამოწვისას რეაქტიულობისა და შესაბამისად სასურველი საბოლოო სიმკვრივისათვის ხელსაყრელი გამოსაწვავი ტემპერატურის შერჩევის შესაძლებლობების მხრივ.

ჩვეულებრივ, თიხის ნედლეული მასალების გამტარობის მონაცემები საშუალოდ შემდეგია: 63 მკმ, 20 მკმ და 2 მკმ და შესაბამისად თიხებიც ამგვარად ხასიათდებიან.

ვარდისუბნის საბადოს შემთხვევაში, ცალკეული 10 ნიმუშისათვის გრანულომეტრული განაწილების მაჩვენებლების ძალიან ფართო გაბნევას აქვს ადგილი. ეს ერთის მხრივ არის თიხოვანი, ხოლო მეორეს მხრივ – მყარი ნაერთების შემადგენლობის ძლიერი მერყეობის შედეგია.

აქედან გამომდინარე, ვარდისუბნის თიხის გადამუშავების შესაძლებლობა ძალიან ცვალებადია იმის მიხედვით, საბადოს რომელი ადგილმდებარეობიდან იქნება ამოღებული თიხის ნედლეული!

ზოგადად მიღებულია, რომ ნედლი მასალის მაღალი სიწმინდე (მაქსიმალური მონაცემებით: 0,5 მკმ, 1 მკმ, 2 მკმ), ნიშნავს თიხის მინერალების მაღალ შემცველობას. ამის შედეგად კი იზრდება შრობისას მოცულობის ცვალებადობისა და პლასტიკურობის უნარი. თუმცა, ამავედროულად იზრდება ფორმირებული პროდუქტის შრობისადმი მგრძობელობა და ასევე გამოწვის პროცესში ნედლი მასალის რეაქტიულობაც; რაც თავის მხრივ, შრობისას და გამოწვისას ასევე ზრდის გამოსაწვავ მასალაში ბზარის გაჩენის საშიშროებას.


ყველა ეს თვისება (და ბევრი სხვა ტექნოლოგიური პარამეტრი) იცვლება თიხის მინერალებისა და მყარი ნივთიერებების შემცველობის თითოეული პროცენტით ცვლილების შესაბამისად,

რაც თავის მხრივ განაპირობებს ნიმუშებს შორის განსხვავებებს გრანულომეტრული შედგენილობის განაწილების მხრივ.

20 მკმ მაჩვენებელი, ისევე როგორც 2 მკმ, მსგავსია იმისა, რაც გვხვდება აგურის წარმოებაში. მხოლოდ ამის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ გრანულომეტრული შემადგენლობის განაწილების მიხედვით (იხილე მსჯელობა მოგვიანებით), ვარდისუბნის საბადოს თიხის ნიმუშები საკმაოდ კარგი გადამუშავების შესაძლებლობას იძლევა. 2 მკმ მაჩვენებლები, რომელსაც უპირატესობა ენიჭება, 42-48 %-იან დიაპაზონში უნდა იყოს. ვარდისუბნის საბადოს ცალკეული ნიმუში უფრო წმინდაა. ამ ნიმუშების შერევა უფრო მსხვილ თიხასთან უფრო მომგებიანი იქნებოდა.

სოფ. ვარდისუბანი, თელავი

	I/1	I/2	I/3	I/4	I/5	I/6	I/7	I/8	I/9	I/10	Std_var
<63	83,0	86,3	87,9	87,0	80,7	91,7	91,1	89,5	89,3	79,7	4,2
<20	77,3	80,5	81,7	80,9	75,2	86,8	85,9	84,8	84,3	74,5	4,4
<2	43,7	48,8	47,5	49,5	44,5	54,1	51,9	50,9	50,4	46,7	3,3
<1	31,6	37,7	35,6	38,4	33,9	42,7	41,0	40,2	39,5	37,4	3,4
<0,5	20,8	26,5	24,7	28,5	23,7	31,1	29,4	29,6	28,3	27,3	3,1



თერმული ქცევა (გრაფიკი 1, 2 და 3)

გამოწვის პროცესის დროს, გაფართოებისა და კუმშვადობის თვალსაზრისით ვარდისუბნის საბადოს ნედლეულის თერმული ქცევის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად, ჩატარდა დილატომეტრული გაზომვები.

შერჩეული იქნა ისევ 3 ცალკეული ნიმუში.

საცდელი ნიმუშების ფორმირება მოხდა ხელით (კერამიკის ინსტიტუტი, კერამიკის ლაბორატორია), რათა რამდენადაც შეიძლებოდა, სიმულირებული ყოფილიყო საქართველოში ქვევრის ფორმირების ორიგინალური პირობები.

კერამიკის ინსტიტუტის ლაბორატორიაში გაკეთებული ნიმუშებს გარდა, დამატებით გაიზომა ვარდისუბნის გამოწვევა ნატეხები (ნაწარმი საქართველო/ვარდისუბანი).

შედეგად დადგინდა შემდეგი: ვარდისუბნის საბადოს სამი შერჩეული ნიმუშის თერმული მდგომარეობა შეესაბამება როგორც მათ მინერალოგიურ და ქიმიურ შემადგენლობას, ასევე მათი გრანულომეტრული შემადგენლობის განაწილებას.

კვარცის ბზარი შედარებით ძლიერად გამოხატულია, რაც ნიმუშებში შიდა დაძაბულობის წარმოქმნასთანაა დაკავშირებული!

შეცხობის დასაწყისი 815°C...825°C-ით გაიზომა (საცდელი სხეულების სიგრძის შემცირების დასაწყისი) და თანმიმდევრულად გრძელდება გაზომვების ბოლომდე 1100°C...1150°C-ზე.

გამოწვით განპირობებული მოცულობის ცვალებადობა, რომელიც ამ დილატომეტრული გაზომვებით დადგინდა, ვარდისუბნის ნიმუშებისათვის 3,80...5,27%-ს შორის მერყეობს, რაც შეესაბამება შერჩეული გაზომვების საბოლოო ტემპერატურების შემთხვევებს!

ასე რომ, დილატომეტრული გაზომვების მიმდინარეობები ძალიან კარგად ასახავს დიფერენციაციას როგორც მინერალოგიასა და ქიმიაში, ასევე დიდ განსხვავებებს ამ საბადოს ცალკეულ ნიმუშებს შორის გრანულომეტრული შემადგენლობის განაწილებაში.

გამოწვით განპირობებული დილატომეტრული კუმშვადობა [%]

	ნიმუში I/ 1	ნიმუში I/ 2	ნიმუში I/ 6	ვარდისუბანი
1000°C	-1,47	-1,69	-1,85	-1,19
1050°C	-2,36	-2,80	-3,09	-1,98
1100°C	-3,81	-4,46	-5,27	-3,70
1125°C		-5,47	(> 6)	
1150°C	-5,81			

ვარდისუბნის საბადოს ნიმუშების კერამიკულ-ტექნოლოგიური ტესტირება

- ა) ნიმუშები გაკეთდა ხელით ფორმირების გზით (თაბაშირის ფორმებში);
- ბ) ნიმუშები გაკეთდა ვაკუუმში ექსტრუზიის გზით.

ხელით ფორმირება იმიტომ ჩატარდა, რომ მიღებულიყო იმ ნიმუშის მსგავსი მდგომარეობა, რაც მიიღება ორიგინალში, ქვევრისთვის ფორმის მიცემის დროს.

ვაკუუმში ექსტრუზიის საშუალებით ფორმის მიცემა იმის სადემონსტრაციოდ განხორციელდა, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს წინასწარი გამკვრივების ხარისხს, რომელიც ვაკუუმში პულტრუზიით ფორმის მიცემისას ამკარად უფრო მაღალია, ვიდრე ხელით ფორმირებისას.

ჰაერის ცირკულაციით საშრობში, ტემპერატურის გაკონტროლებით ჩატარდა საფეხურებრივი გამოშრობა.

- 24 სთ ლაბორატორიაში ოთახის ტემპერატურზე, ნიმუშები დაფარულია აბრეშუმის ქაღალდით
- 24 სთ 40°C-ზე
- 24 სთ 60°C-ზე
- 24 სთ 110°C-ზე.

ხელით (თაბაშირის ფორმებში) გაკეთებულ ყველა საცდელ სხეულს შრობის დასრულებისას ბზარები აღმოაჩნდა. აქედან გამომდინარე და საცდელი სხეულების ძალიან არათანაბარი ზედაპირის გამო (მოცულობის ცვლილებების კორექტულად მონიშვნა ვერ მოხერხდა) ვერ მოხერხდა ვერც რეგულარული შრობისას მოცულობის ცვლილებების მაჩვენებლების და ვერც გაშრობის რეგულარული ღუნვადობის სიმტკიცის მაჩვენებლების დადგენა.

სამაგიეროდ, შესაძლებელი გახდა ვაკუუმში დაპრესვის გზით შექმნილი ნიმუშების ბზარების გარეშე წარმოება. შესაბამისად, ამ ნიმუშებისათვის მოხერხდა მოცულობის ცვლილებებისა და გაშრობის ღუნვადობის სიმტკიცის გაზომვის კორექტულად ჩატარება გაშრობის დროს .

ამ გაზომვებმა ვარდისუბნის საბადოს ნიმუშებისათვის **გაშრობის მოცულობის ცვლილება → 7,1%** უჩვენა (საშუალოდ 30 ცალკეული ნიმუშიდან; იხილე ცხრილი 6). ეს მოცულობის ცვლილების ძალიან მაღალი ხარისხია და იმიტომ მოსალოდნელია, რომ ნაწარმში ნაპრალები გაჩნდეს.

ვარდისუბნის ნიმუშების **გაშრობისას მოცულობის ცვლილება** → **10,0 Mpa** შეადგინა (საშუალო მონაცემი 10 ცალკეული მონაცემიდან; იხილე ცხრილი 7). ეს მაჩვენებელი თიხის ნაწარმისათვის ძალიან მაღალია და შესაძლებელს ხდის ქვევრის გამოყენებას გატეხვის უშუალო საფრთხის გარეშე.

როგორც გამომწვარი, ასევე ხელით წარმოებული საცდელი მასალებისათვის (დაახლ. 20x2,5x2 სმ³) დადგინდა შემდეგი პარამეტრები:

- წყლის შთანთქმა (დუღილის მეთოდი)
- ღია ფორიანობა
- ნედლი მასალის სიმკვრივე

ხოლო, ხელით წარმოებული საცდელი მასალის გამოწვისას შინაგანი ღუნვის სიმტკიცის დადგენა ვერ ხერხდება. საცდელ მასალებს გააჩნდათ მიკრო და მაკრო ბზარების დიდი რაოდენობა. ამის გამო აღნიშნული გაზომვების მონაცემები არარეგულარული იქნებოდა და ამიტომ სრულ სურათს ვერ მოგვცემდა.

საცდელი სხეულების გამოწვა მიმდინარეობდა მუფელის ელექტროღუმელში 1000°C-ზე, 2 სთ-ის განმავლობაში. გამომწვარი ორი დღის განმავლობაში გრილდებოდა.

თუმცა გამოწვის ეს სქემა ისე ზუსტად არ განხორციელებულა, როგორც ეს საქართველოში ხდება, მაგრამ მაინც ორიგინალურ წვის პროცესთან საკმაოდ მიახლოებული უნდა ყოფილიყო.

მომდევნო ცხრილი უჩვენებს ვარდისუბნის ნიმუშების I/ 1 - 2 და -6 შედეგების ურთიერთმედარებას, ასევე შედარებას კერამიკის ინსტიტუტში მიწოდებული ვარდისუბნის ორიგინალის ნიმუშთან.

გაზომვის ყველა მონაცემი მოცემულია ცხრილ 8-ში.

	წყლის შთანთქმა [%]	ღია ფორიანობა [%]	ნედლი მასალის სიმკვრივე [g/cm ³]
ნიმუში I/ 1	10,13	20,96	2,069
ნიმუში I/ 2	7,90	15,79	2,118
ნიმუში I/ 6	6,93	14,82	2,138
ვარდისუბანი (ორიგ.)	14,35		

წყლის შთანთქმის შედარებით მაღალი მაჩვენებლები უჩვენებს, რომ 1000°C-ზე ყველა ნიმუში ბოლომდე გამოქმწვარი არაა. ამგვარად, ყველა ნიმუშისათვის შედარებით მაღალი ღია ფორიანობა ვლინდება. აქედან გამომდინარეობს ჭურჭლის ისეთი შრით დაფარვის საჭიროება, რომელიც გამკვრივების მეშვეობით ღია ფორებიდან გაჟონვისაგან დაიცავს.

ვარდისუბნის ორიგინალი გამოქმწვარი ნატეხის გაზომვა უჩვენებს, რომ მასში წყლის შთანთქმის მაჩვენებელი კვლავ ძალიან მაღალია. ამის გამო გამოწვის შედეგი მნიშვნელოვნად განსხვავდება კერამიკის ინსტიტუტის ნიმუშების შედეგებისგან.

კერამიკის ინსტიტუტის ნიმუშებსა და ვარდისუბნის ქვევრის ნიმუშს შორის ეს დიდი განსხვავება ხაზგასმით უჩვენებს ფორმის მიცემის ტექნოლოგიისა და გამოწვის პირობების ძალიან დიდ გავლენას ქვევრის მდგომარეობაზე მისი გამოწვის შემდეგ.

ამავდროულად ცალკეული ნიმუშების წყლის შთანთქმის განსხვავებული მაჩვენებლები ცხადყოფს, თუ რა დიდ ზემოქმედებას იწვევს საბოლოო პროდუქტზე ვარდისუბნის საბადოში არსებული თვისებების ძლიერად მერყევი მაჩვენებლები!

ვარდისუბნის ნიმუშების „უკანასკნელი“ გაზომვა იყო ვარდისუბნის გამოქმწვარი ორიგინალი ნატეხის → მჟავაში ხსნადობის განსაზღვრა.

ეს ტესტი ჩატარდა მჟავისადმი სიმტკიცის გასაზღვრის მიზნით (რეგულარულად გოგირდმჟავა), თუმცა მჟავად ორიგინალი ქართული ღვინო იქნა გამოყენებული. მიზანი იყო გამოქმწვარი ვარდისუბნის ქვევრის ხსნადობის უნარის გამოცდა მჟავა გარემოში.

ამ გაზომვის შედეგად დადგინდა **მასის დანაკარგი → 0,08%**.

ეს ნიშნავს რომ ქვევრი, ღვინოსთან ხანგრძლივი კონტაქტის დროს, ძალიან მცირე ხსნადობას ავლენს.

2.2. ტყემლოვანა

მინერალოგიური ანალიზები [9a, 9b, 9c]

ტყემლოვანას საბადო მყარი ნივთიერებების (კვარცი, მინდვრის შპატი) შედარებით მაღალ შემცველობას ავლენს, რაც 38-დან 49%-მდე მერყეობს.

მინდვრის შპატების მხრივ წარმოდგენილია მინდვრის შპატების სხვადასხვა ტიპის ნარევი, სადაც დომინირებს კალიუმის მინდვრის შპატები.

ანალიზებმა უჩვენა თიხის მინერალების წილი 46-დან 52%-მდე. ორ და სამშრიანი თიხის მინერალები 32-და 34 %-მდეა.

4-შრიანი თიხის მინერალები კი 8-9 %-მდე.

ვარდისუბნის საბადოს თიხის ნიმუშებისაგან განსხვავებით, 2-შრიანი თიხის მინერალების 3-შრიანებთან შეფარდება განსხვავებულია. ტყემლოვანის საბადოში 14-დან 25%-მდე 2-შრიანი თიხის მინერალებია (კაოლინიტი) და 22-დან 27%-მდე 3-შრიანი თიხის მინერალები, რომეთაგან 11-დან 17%-მდე აფუებადი თიხის მინერალებია.

გარდა ამისა, ტყემლოვანის საბადოში ანალიზმა 3-4% გოეთიტი (ნემსისებური რკინის მადანი) უჩვენა. ეს მინერალი განაპირობებს გამოძვარი ნამტვრევის წითელ შეფერილობას.

მინერალოგიური ანალიზების შედეგად, გარდა აღნიშნულისა, სხვა მინერალური ფაზები მნიშვნელოვანი რაოდენობებით ნაპოვნი არ ყოფილა.

ტყემლოვანის საბადოს გამოუწვავი და გამოძვარი ქვევრის ორიგინალ ნამტვრევებს, რომელიც ტყემლოვანის საბადოში დამზადდა და კერამიკის ინსტიტუტს გაეგზავნა (ცხრილები9d...e), ჩაუტარდა ანალიზი.

გამოუწვავი ნამტვრევის მინერალოგიური ანალიზი მნიშვნელოვნად განსხვავებულ გაზომვის შედეგს უჩვენებს, ვიდრე ყველა სხვა ნიმუში, რომლებიც კერამიკის ინსტიტუტს გადაეგზავნა.

აქ განსაკუთრებით მაღალი იყო მინდვრის შპატების მინერალების შემცველობა (20%!).

თიხის მინერალების მხრივ, ანალიზმა აჩვენა ნიმუში II/ 10-ის მსგავსი შემადგენლობა.

გამომწვარი ნატეხის მინერალოგიური ანალიზის შედეგად 35% მყარი ნივთიერება (11% მინდვრის შპატი / 24% კვარცი) დადგინდა.

გამოწვის დროს თიხის ყველა კრისტალური კომპონენტი ამორფულ მდგომარეობაში გადავიდა. ამის გამო აქ მინერალოგიური ანალიზის ჩატარება შეუძლებელია. ანალიზების ოქმში ეს ამორფული წილი → ნარჩენად იწოდება და ტყემლოვანას გამომწვარი ნატეხისათვის 43%-ს შეადგენს.

გარდა ამისა, გამომწვარ ნატეხებში ანალიზმა 4% მინერალი ჰემატიტის არსებობა უჩვენა.

ქიმიური ანალიზები

ანალიზის შედეგად, ამ საბადოში 8 ძირითადი ოქსიდის ძალიან დიდი მერყეობის (ვარიაციის) დიაპაზონი დადგინდა, იხილეთ ცხრილი 10.

ვარდისუბნის საბადოსთან შედარებით, SiO_2 -ის აბსოლუტური შემცველობა ძალიან მცირეა. თუმცა, განსხვავებები 10 ცალკეულ ნიმუშს შორის, რომლებსაც ანალიზი ჩაუტარდა, უაღრესად დიდია, ის 25-დან 32%-მდე მერყეობს!

გარდა ამისა, ასევე ძალიან მაღალია განსხვავებები ტუტე და ტუტემიწა ნაერთების შემცველობებს შორის. ეს ნივთიერებები მინდვრის შპატებისა და თიხის მინერალების შემადგენელი ნაწილია, რაც ამ მინერალების ფართო სპექტრს უჩვენებს.

ტყემლოვანას საბადოს ქიმიური ანალიზის დასკვნის სახით დგინდება: საბადოში Al_2O_3 -ის შემცველობები შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე ვარდისუბნის საბადოში. თუმცა ის 10 ცალკეული ნიმუშის შემთხვევაში უფრო დიდ დიაპაზონს უჩვენებს. ამასთან ერთად, Al_2O_3 -ის შედარებით დიდი ნაწილი მინდვრის შპატებთან შეკავშირებული სახითაა წარმოდგენილი. ამიტომ ამ საბადოს ნედლეული უნდა განისაზღვროს, როგორც ნაკლებად პლასტიკური.

ყველა სხვა ოქსიდი, რომლებიც ტყემლოვანას საბადოში მცირე რაოდენობით იქნა ნაპოვნი, ტყემლოვანას თიხის კერამიკულ თვისებებზე უმნიშვნელო გავლენას ახდენს.

ამ საბადოს შემთხვევაშიც დადგინდა ფთორის, ქლორისა და გლჯირდის შემცველობა. მათი შემცველობა შედარებით დაბალია და წარმოების პროცესზე უარყოფით გავლენას არ უნდა ახდენდეს. ფთორის ემისია, რომელიც გაზომვამ უჩვენა, გარემოს მხრივ უმნიშვნელოა (ცხრილი 11).

ვარდისუბნის ნიმუშებთან შედარებით, აქ ორგანული ნახშირბადის შემცველობა მნიშვნელოვნად ნაკლებია. ამას გარდა, ცალკეულ ნიმუშში შედარებით ნაკლები დაძაბულობის დიაპაზონი ვლინდება. მიუხედავად ამისა, გამოწვისას საჭიროა 250-დან 600°C მდე ნელა აყვანა, რომ მოხდეს მთლიანი ორგანიკის ბოლომდე გამოწვა.

არაორგანული ნახშირბადის არსებობა ტყემლოვანას საბადოს ნიმუშებში არ დადასტურდა.

ტყემლოვანას საბადოს ნახშირბადის გაზომვების შესახებ 10 ცალკეული ნიმუშისათვის ყველა მონაცემი მოცემულია ცხრილ 12-ში.

ტყემლოვანას (საქართველოდან) ორიგინალი თიხის მასის ქიმიური ანალიზი ძირითადად შეესაბამება ამ საბადოს 10 ცალკეულ ნიმუშს (II/ 1...II/ 10).

ტყემლოვანას გამომწვარი ნატეხის ქიმიურმა ანალიზმა ასევე უჩვენა მცირე დანაკარგი გამოწვის დროს. ეს ნიშნავს, რომ ნატე-

ხი საკმარისი დროის განმავლობაში არ გამოიმწვარა და /ან წვის ტემპერატურა საკმარისი არ იყო.

გამომწვარ ნატეხში გამოწვის შედეგად მიღებული დანაკარგის გამოვლენა ნიშნავს ორგანიკის ნარჩენის არსებობას, რომლის გამოწვა არასრულყოფილი იყო.

წყალში ხსნადი მარილები (ცხრილი 13):

წყალში ხსნადი მარილების დასადგენად ჩატარდა ყველა იმ არაორგანული პარამეტრის სკრინინგი, რომლებმაც შესაძლოა, ქვევრში ან მის ზედაპირზე რაიმე დეფექტი გამოიწვიოს - **გამოწვის** დროს ან გამოწვის შედეგად (როგორცაა სხვადასხვა სახის ნადები, გამონალექი და ა.შ.).

კვლავ შერჩეული იქნა „ცალკეული ნიმუშები“.

გამოკვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ტყემლოვანას საბადოში „საშიში“ არაორგანული ნივთიერებები არ აღმოჩნდა.

გრანულომეტრული განაწილება

ტყემლოვანის საბადოსათვის **გრანულომეტრული განაწილების უაღრესად დიდი არეალი** დადგინდა. ეს, ერთის მხრივ არის თიხის მინერალების შემცველობისა და მეორეს მხრივ, მყარი ნივთიერებების კომპონენტების მერყეობის შედეგი.


ამგვარად, ტყემლოვანას საბადოსათვის სავსებით საფუძვლიანად და ნათლად დადგინდა, რომ საბადოს სხვადასხვა ადგილიდან ამოღებული თიხის გადამუშავების შესაძლებლობა ძალიან განსხვავებულია.

საერთო ჯამში გამტარობის მაჩვენებლები როგორც 20 მკმ-ის, ასევე, მიმდინარეობის მაჩვენებლები 2 მკმ-ის შემთხვევაშიც ძალიან მცირეა (იხილეთ ასევე კრიტერიუმები აგურის გაზომვისას 20 და 2 მკმ-ს შემთხვევაში). ამ მაჩვენებლების მიხედვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტყემლოვანას საბადოს თიხების პლასტიკურობა არ არის ძალიან მაღალი.

ამ შედარებით უხეში თიხების გამოწვაზე ზემოქმედების შესახებ მსჯელობა იქნება მათი თერმული ქცევების ანალიზთან მიმართებაში.

No-II**სოფ. ტყემლოვანა, ჭიათურა**

	II/1	II/2	II/3	II/4	II/5	II/6	II/7	II/8	II/9	II/10	Std_var
<63	66,5	58,8	55,4	74,2	58,0	57,7	50,0	53,3	48,3	52,1	7,8
<20	58,1	51,1	48,0	69,0	52,0	51,0	42,9	45,7	41,4	46,0	8,1
<2	30,7	27,1	27,4	47,7	30,5	28,3	22,0	26,0	21,9	21,7	7,6
<1	26,8	23,6	24,2	42,7	27,1	24,1	18,6	23,1	18,8	18,2	7,1
<0,5	22,8	19,9	21,4	37,7	24,2	21,5	16,3	20,5	16,5	15,1	6,4

**თერმული ქცევა [გრაფიკები 4, 5 და 6]**

გამოწვის დროს ტყემლოვანას საბადოს თიხების თერმულ ქცევაზე წარმოდგენის შესაქმნელად დილატომეტრული გაზომვები 3 ცალკეულ ნიმუშზე ჩატარდა. საცდელი სხეულები ხელის დარტყმებით (ქართული ორიგინალი ქვევრის წარმოების სიმულირება) და გაგლუვებით/დამუშავებით გაკეთდა.

დამატებით, ამ ნიმუშებთან ერთად ერთი საცდელი სხეული დამზადდა და გაიზომა ტყემლოვანას ორიგინალი ნატეხიდან.

ტყემლოვანას ნიმუშები უჩვენებს თერმულ ქცევას, რაც ტყემლოვანას თიხების ამკარად შედარებით უხემ გრანულაციას ასახავს.

გათბობისას პირველ რიგში თვალში საცემია შედარებით მცირე ზომის კვარცის ბზარი. ამას დადებითად უნდა შევხედოთ, რადგან ამით განპირობებული დაძაბულობები ძალიან მცირე რჩება.

გათბობისას ნიმუშების ძლიერი გაფართოება პირველ რიგში მინდვირს შპატის დიდი წილითაა განპირობებული.

შეცხოვის დასაწყისი დაახლოებით $825-860^{\circ}\text{C}$ -ს შეადგენს. ეს განუწყვეტლად გრძელდება $1100-1150^{\circ}\text{C}$ -მდე (გაზომვის დასასრული).

დილატომეტრული გაზომვით მიღებული წვით გამოწვეული მოცულობის ცვლილებების შედეგები ტყემლოვანას ნიმუშებისათვის 2,73 – 4, 95%-ს შორის მერყეობს.

წვის მაღალი ტემპერატურის $>1100^{\circ}\text{C}$ გამო მოცულობის ცვალებადობის ეს მაჩვენებლები შეიძლება, ძალიან უმნიშვნელოდ ჩაითვალოს.

ამგვარად, დილატომეტრული მაჩვენებლები მიუთითებენ ქვევრის შედარებით ნაკლებ სიმკვრივეზე, გამოწვის შედარებით დაბალი ტემპერატურების დროსაც კი.

მიზეზი ტყემლოვანას საბადოში მყარი ნივთიერებების მაღალი წილია, განსაკუთრებით კალიუმის მინდვრის შპატის მაღალი შემცველობა (მაღალი ლობის ტემპერატურა). ამასთან, თიხის მინერალები დიდწილად კაოლინისაგან შედგება. ეს არის თიხის ყველა მინერალიდან ის, რომელიც მკვრივად გამოწვისთვის უმაღლეს ტემპერატურებს საჭიროებს. მაშასადამე, ტყემლოვანას საბადოდან მოპოვებული თიხისაგან შედარებით მკვრივი ქვევრის გასაკეთებლად საჭიროა, რომ წვის ტემპერატურები 1150°C -ზე მეტი იყოს.

დილატომეტრული წვით გამოწვეული მოცულობის ცვალებადობა [%]

	ნიმუში II/ 4	ნიმუში II/ 6	ნიმუში II/ 10	ტყემლოვანა
1000°C	1,63	0,63	+ 0,44	0,53
1050°C	2,61	1,32	0,14	1,26
1075°C				1,76
1100°C	3,93	2,21	1,22	
1150°C	4,95	2,96	2,73	

ტყემლოვანას საბადოს ნიმუშების კერამიკულ-ტექნოლოგიური ტესტები

ტყემლოვანას საბადოს ნიმუშები ჩამოისხა როგორც თაბაშირის ფორმებში, ასევე სხვა საცდელი მასალები დამზადდა ვაკუუმში პულტრუაციის გზით.

საშრობში ჰაერის ცირკულაციით გამოშრობა, ტემპერატურის გაკონტროლებით, რამდენიმე საფეხურად მიმდინარეობდა რამდენიმე დღის განმავლობაში:

- 24 სთ თავისუფლად იდო ლაბორატორიაში, აბრეშუმის ქაღალდით დაფარული
- 24სთ 30°C-ზე
- 24სთ 40°C-ზე
- 24სთ 60°C-ზე
- 24სთ 110°C-ზე.

ტყემლოვანას საბადოს ნიმუშების შემთხვევაშიც ყველა საცდელი მასალა, რომელიც ხელით დამზადდა, დასკდა. ასე, რომ შრობის მოცულობის ცვლილებისა და შრობის პლასტიკურობისათვის ცდის ზუსტი მონაცემების მიღება ვერ მოხერხდა.

საცდელ სხეულებს, როლებიც ვაკუუმში პულტრუაციით მიეცათ ფორმა, გაშრობის შემდეგ ბზარები არ ჰქონდა.

საშუალოდ **შრობის მოცულობის ცვალებადობა → 5,8%** დადგინდა (საშუალო მაჩვენებელი 30 ცალეული მონაცემის მიხედვით; იხილე ცხრილი 14).

ეს შედარებით მაღალი მაჩვენებელია, თუმცა წარმოების პირობებში მისი კონტროლირება ჯერ კიდევ შესაძლებელია (ნელი შრობა, ორპირი ქარის თავიდან არიდება და ა. შ.).

საშუალოდ **შრობისას მოცულობის ცვალებადობის → 10,5%** დადგინდა (საშუალო მაჩვენებელი 10 ცალეული მონაცემის მიხედვით; იხილე ცხრილი 15).

ეს მშრალი სიმტკიცის ძალიან მაღალი მაჩვენებელია პლასტიკურობის მხრივ და გამოუწვავი ქვევრის საიმედო დამუშავების საშუალებას იძლევა.

